

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის

საბჭოს სხდომის

ოქმი №3

07.03.2019 წელი.

ქ. ლაგოდეხი

სხდომის თავმჯდომარე - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე: კახა ჯამბურია.

სხდომას ესწრებოდნენ:

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები ( რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის);  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერი: ჯონდო მდივნიშვილი;  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: გიორგი ღამბაშიძე;  
ლაგოდეხისა და ყვარელის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წევრი: გიორგი ედიშერაშვილი;  
პარტია „ქართული ოცნების“ ოფისიდან მოწვეული სტუმრები; მაკა მოდებაძე, მაია გელაშვილი;  
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

დღის წესრიგი:

1. გენდერული თანასწორობის საბჭოს როლისა და ფუნქციების შესახებ.

/ მომხს: კ. ჯამბურია, ს. ლონდაძე.

თანამომხს. მ. სიუკაშვილი; თ. მუმლაძე; ე. ლომთაძე/

2. დოკუმენტური ფილმის „ პირველი რესპუბლიკის წარმატებული ქალები“- ჩვენება.

3. გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრთათვის სერთიფიკატების გადაცემა.

მოისმინეს:

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარემ კახა ჯამბურიამ ისაუბრა გენდერული საბჭოს როლისა და ფუნქციების შესახებ.

გენდერული თანასწორობის სამართლებრივი ასპექტები გააცნო დამსწრე საზოგადოებას მაია სიუკაშვილმა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმისა და ინიციატივების შესახებ ისაუბრა სალომე ლონდაძემ.

გენდერის მიმართ საზოგადოების სტერეოტიპულ დამოკიდებულებას გაუსვა ხაზი თამარ მუმლაძემ.

ევა ლომთაძემ დამსწრე საზოგადოებას შესთავაზა საკუთარი მდიდარი ბიბლიოთეკა აღნიშნულ თემატიკაზე.

დოკუმენტური ფილმის ჩვენების შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის ფორმატში გაგრძელდა და ახალგაზრდებმა ისაუბრეს გენდერის მიმართ თავიანთ დამოკიდებულებასა და მსგავსი შეხვედრების მნიშვნელობაზე.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებმა მოწვეულ სტუმრებთან ერთად იმსჯელეს ქალთა მიმართ ძალადობის, დისკრიმინაციის აღმოფხვრისა და ქალთა როლის გაძლიერების შესახებ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერმა ჯონდო მდივნიშვილმა მზაობა გამოთქვა გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობის გაღრმავებისა და საბჭოს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების ფინანსური უზრუნველყოფისათვის.

სხდომის დასასრულს გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს ტრენერთა ტრენინგში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები გადაეცათ.

გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე:

გენდერული თანასწორობის საბჭოს მდივანი:

/კ. ჯამბურია/

/თ. მუმლაძე/